

**„უმნიშვნელო“ არაწრფივობის „მნიშვნელოვანი“ გავლენა ერთი კლასის
სინგულარულ ელიფსურ სისტემათა ამონახსნთა ყოფაქცევაზე
სინგულარობის მახლობლობაში**

გიორგი მაქაცარია*, ია რამიშვილი**, თამაზ ვეკუა**

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, giorgi.makatsaria@gmail.com

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

შესწავლილია საკმარისად ფართო კლასის სინგულარული ორგანზომილებიანი ელიფსურ განტოლებათა არაწრფივი სისტემები, რომელთა არაწრფივობა „უმნიშვნელოა“ იმ აზრით, რომ შესაბამისი კოეფიციენტი მცირეა. დადგენილია, რომ ამ „უმნიშვნელო“ არაწრფივობის გამო არსებითად იცვლება ამონახსნთა სტრუქტურა სინგულარობის მახლობლობაში; კერძოდ, სისტემას უჩნდება ხარისხოვანი ასიმპტოტიკის მქონე ამონახსნთა საკმარისად ფართო კლასი მაშინ როცა ცნობილია, რომ წრფივი სისტემებისათვის ამ ფაქტს არა აქვს ადგილი.